სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

თეა ქართველიშვილი[1]
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.21.11

მიხეილ შარვაშიძის ერთი წერილის შესახებ[2]

აბსტრაქტი. აფხაზეთის შესახებ არსებული წყაროების შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეპისტოლურ მემკვიდრეობას, რომლის შინაარსობრივი და გარეგნული მახასიათებლები წარმოგვიჩენს თანადროულ პოლიტიკურ-კულტურულ თუ სოციალ-ეკონომიკურ გარემოს. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის - მიხეილ შარვაშიძის წერილი, რომლის ადრესატი უცნობია. წერილი თარიღიანია და შესრულებულია 1854 წლის 5 ოქტომბერს. მოცემულ პერიოდში მიმდინარეობდა ყირიმის ომი. საომარი ოპერაციები ხორციელდებოდა უშუალოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე. დაპირისპირებული მხარეებისთვის (რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები), არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთის მთავრის პოზიციას, რომელსაც საკუთარი სამთავროს გარდა დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებშიც.

---

[1] **თეა ქართველიშვილი**, ისტორიის დოქტორი, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

[2] ნაშრომის დაწერისას გაწეული კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდი პროფ. **ბეჟან ხორავას.**

მოხსენება წაკითხულია **ექვთიმე თაყაიშვილის** 160 წლისთავისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, კულტურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი განათლება“.* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. 2023 წლის 22-23 დეკემბერი.

ომის მსვლელობისას, გარკვეულ პერიოდში, მიხეილ შარვაშიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა სამთავრო და თავის სიმამრთან - გიორგი დადიანთან სამეგრელოში დაბინავებულიყო. წერილიც სწორედ, სამეგრელოში ყოფნის დროს არის დაწერილი. ტექსტში მთავარი ეხება ომის ამბებს, ოსმალთა ჯარის მიერ სოხუმისა და ოჩამჩირის დაკავებას და თავის სამომავლო გეგმებს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის სამთავრო, მიხეილ შარვაშიძე, ეპისტოლური მემკვიდრეობა, ყირიმის ომი, ოკუპირებული ტერიტორიების წყაროები.

Tea Kartvelishvili[3]
Kornelis Kekelidze Georgian National Manuscript Center

About One of Mikheil Sharvashidze's Letters[4]

Abstract. In studying of available sources about Abkhazia, epistolary heritage is of particular significance, its content and form characteristics reflect contemporary political-cultural and socioeconomic environment.

At K. Kekelidze National Center of Manuscripts of Georgia, there is maintained a letter by Mikheil Sharvashidze, the last Prince of Abkhazia, its addressee is unknown. The letter is dated, it was written on 5 October 1854. In that period, there was Crimean war. The military operations took place directly in the territory of Abkhazia. Position of the Prince of Abkhazia was of great significance for the confronting parties, as. In addition to his princedom, he had great authority and influence among the North Caucasian peoples as well.

In the course of the war, in certain period, Mikhail Sharvashidze had to leave his princedom and settle with his father in law, Giorgi Dadiani, in Samegrelo. And the letter was written in Samegrelo. The text of the letter mostly deals with the war, occupation of Sokhumi and Ochamchire by the Ottoman troops and the author's plans for the future.

---

[3] **Tea Kartvelishvili**. Doctor of History, Senior Research Fellow of the Department of Source Studies and Diplomacy at the K. Kekelidze National Center of Georgian Manuscripts.

[4] I would like to thank Prof. **Bezhan Khorava** for his advice during the writing of this paper. The report was read at the third international scientific conference dedicated to the 160th anniversary of **Ekvtime Takaishvili** *"Cultural values of Abkhazia: language, literature, culture, history, social sciences and education".* Sokhumi State University, Korneli Kekelidze National Manuscript Center. December 22-23, 2023.

Keywords: Princedom of Abkhazia, Mikheiil Sharvashidze, epistolary heritage, Crimea War, sources of occupied territories.

ძირითადი კვლევა. ეპისტოლური მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა, რომელიც ყველაზე ცოცხლად გვინახავს თანადროული ყოფის, პოლიტიკური ცხოვრებისა თუ კულტურულ-სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ რეალიებს, წარმოაჩენს საზოგადოების განწყობებს. შინაარსობრივთან ერთად მისი გარეგნული მახასიათებლებიც (ენა, დამწერლობა) გვიჩვენებს კულტურულ სივრცეს, რომელშიც იქმნება წერილი.

დღესდღეობით, განსაკუთრებულად აქტუალურია ოკუპირებული ტერიტორიების წყაროების შესწავლა, მათ შორის, ცხადია, ეპისტოლური მემკვიდრეობისაც.[5]

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის - მიხეილ შარვაშიძის წერილი (Sd-1841). წერილის ადრესატი არ ჩანს. ტექსტი ნაწერია ყვითელ ქაღალდზე ღია ყავისფერი მელნით, საკმაოდ გაკრული მხედრულით. წერილს აქვს თარიღი – 1854 წლის 5 ოქტომბერი და ახლავს მიხეილ შარვაშიძის ხელმოწერა. დაწერილია სოფ. ნოჯიხევში. წერილის ქვემოთ, მარცხენა ნაწილში წერილის ტექსტი ვიღაცას თავიდან გადაუწერია წვრილად ნაწერი გრაფემებით. მოცემული მინაწერი როდინდელია არ ჩანს. იმავე ხელით წერილის დასწყისში აწერია:„მიხაილ შარვაშიძისა“.თავად წერილის შინაარსი ასეთია:

„5 ოკტომბერს, 1854 წელსა, ნოჯიხევი.

შენი წიგნი წავიკითხე. ჩემი ამბავი გეკითხა. გუშინ კურ|ზუდგან მივედი ნეჯიხევს. ვსეირობ. გელოდი, მაგრამ| მოცლა არ გექმნებოდა ვიცოდი. ამბავი გეკითხათ.| შენც გეცოდინება რაც ამბავი ჩვენკენ არის,| მაგრამ<ე> მეც ეს ამბავი მომივიდა, რომა ფაშ|ები მისულ არიან სოხუმსა და ოჩამჩირეს და| უთქვამს - ორივეს ადგილს ჯარების მოყვანა.| ვგო-ნებ ჩერქეზის ჯარებიც აწვევენ. ნაიბი ჩერქე|ზებმან არ მიიღეს და ცდილობს სოხუმს დადგეს.| ქალაქს ჩემი წასულამდის რომ გნახვიდე კარგი იქნ|ება. ამ თვის თუთხმეტამდი აქ ვიქნები.| შენ<ი> ამბავს ნუ დამაკლებ. ჩემი ცხენები რომ| მენახა არ ვარგოდა. ნამეტანი მარჯვე არიან. შენი| მიხაილ შარვაშიძე“.

წერილი დედანია და შესრულებულია თავად მიხეილ შარვაშიძის ხელით. გაგზავნილია მიხეილის ახლობელი ადამიანისთვის, რაც მიმართვის ფორმიდან ჩანს, თუმცა ის არ არის ოჯახის წევრი.

[5] საკითხთან დაკავშირებით იხ. ახალაძე, 2022: 41-53.

ტექსტში მოყვანილი ფაქტები და თავად წერილის თარიღი მოწმობს, რომ დაწერილია ყირიმის ომის მსვლელობისას, რომელიც 1853 წელს დაიწყო და 1856 წლამდე გაგრძელდა. ყირიმის ომში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთი და ოსმალეთი თავისი მოკავშირეებით: ინგლისი, საფრანგეთი და სარდინია. მათი გეგმით კავკასიას ეკისრებოდა რუსეთის შემაკავებელი ფუნქცია. მოცემულ პერიოდში, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის რუსეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ცხადია, ოსმალეთი და მოკავშირეები შეეცადნენ შექმნილი ვითარებით ესარგებლათ. ოსმალეთის სულთანმა აბდულ ჰამიდ I-მა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა იმამს – შამილს ჯიჰადისაკენ მოუწოდა (ჯანელიძე, 2023: 79). მოკავშირეების მიზანი იყო, რომ საქართველო, ჩერქეზეთი და ყირიმი ჩამოეცილებინათ რუსეთისთვის. იგეგმებოდა ჩერქეზეთის[6] დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა შამილის ხელმძღვანელობით ან სულთნის პროტექტორატის ქვეშ გადასვლა. ყირიმი და საქართველო[7] კი ოსმალეთის კუთვნილება გახდებოდა. ამასთან, მოკავშირეების მცდელობით დაგეგმილი იყო რუსეთის მთავარი სამხედრო ძალის თავმოყრა სამხრეთ კავკასიაში და მისი განადგურება, რაც დანარჩენ ფრონტზე ოსმალთა გამარჯვებას უზრუნველყოფდა. ომის დაწყებისთანავე ოსმალთა ლაშქარი შევიდა მესხეთში, გურიაში, მოგვიანებით, შავი ზღის სანაპირო ციხეებში: ყულევში, ანაკლიასა და სოხუმში. აფხაზეთის სანაპიროზე უკვე 1853 წლის 7 ნოემბერს ოსმალებისა და რუსეთის სამხედრო ხომალდებს შორის შეტაკება მოხდა, სადაც ბზიფის მაცხოვრებლები ალექსანდრა დადიანის (მიხეილ შარვაშიძის მეუღლე) ბრძანებით ოსმალების წინააღმდეგ გამოვიდნენ (ჩხეტია, 1963: 123-125).

ყირიმის ომის მიმდინარეობისას რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა აფხაზეთიდან გაეყვანა თავისი გარნიზონები, რათა ზედმეტი მსხვერპლი აერიდებინა თავიდან. მართალია, ისინი ბოლომდე არ ენდობოდნენ მიხეილს,[8] მაგრამ სანაპირო გარნიზონების მოხსნა მაინც მას დაავალეს.

---

[6] ჩერქეზეთში მხოლოდ აბაზები და ადიღეელები არ მოიაზრებოდნენ, მათში კავკასიის მთიელები იგულისხმებოდნენ და ევროპულ პრესაში შამილს ჩერქეზეთა ბელადი ეწოდებოდა (ხორავა, 2011: 184,სქ. **).

[7] სამეგრელოს სამთავროში შეჭრილი ომერ-ფაშა (ოსმალთა ჯარის სარდალი) ეკატერინე დადიანს უმტკიცებდა, რომ ოსმალეთისა და მოკავშირეების მიზანი იყო სამეგრელოსა და მისი მეზობელი ქვეყნების გათავისუფლება. ეკატერინეს ასეთივე დაპირებებს აძლევდნენ ინგლისის აგენტი კავკასიაში ფ. ლონგუორტი და საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი გრაფი მეფრე. თუმცა პარიზის კონგერსზე, საზავო პირობების შედგენისას საქართველო და კავკასია არ უხსენებიათ (ჯანელიძე, 2023: 80).

[8] მიხეილ შარვაშიძე ფლობდა რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტის წოდებას.

გენერალ რეადის 19 მარტის ბრძანებით მიხეილი დაინიშნა აფხაზეთში განლაგებული ჯარების სარდლად და მას დაევალა მათი უვნებლად გამოყვანა (Акты 1885: 271; წურწუმია, 2009: 95). ოპერაცია 1854 წლის 19 მარტს დაიწყო და 5 აპრილს უკვე მშვიდობით იქნა გაყვანილი ბიჭვინთის, ბომბორის, წებელდისა და სოხუმის გარნიზონები (თაკალანძე, 2000: 106). გაგრის გარნიზონი აღმოჩნდა გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ მისი ევაკუაცია მარჯვენა მხრიდან ითავა ვიცე ადმირალმა სერებრიაკოვმა, ხოლო მარცხენა ფლანგიდან მიხეილ შარვაშიძემ. ჩრდილო კავკასიელ მთიელთა მტრული გარემოცვიდან გარნიზონის გამოყვანა ტრაგედიის თავიდან აცილებას ნიშნავდა, რაც რუსეთის ხელისუფლებამ დაუფასა მიხეილს. მას თეთრი არწივის ორდენი მიანიჭეს (Акты 1885: 275; თაკალანძე, 2000: 106).

1854 წლის 13 აპრილს, გენერალი რეადი სამხედრო მინისტრ დოლგორუკისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ აფხაზეთის მთავარი ვერ შეძლებდა სამთავროს დაცვას, რის გამოც რუსეთის ხელისუფლების ყველა მომხრეს უნდა დაეტოვებინა იქაურობა (Акты 1885: 270-271; ხორავა, 2011: 193-194).

აფხაზეთიდან გამოყვანილი ჯარები შეუერთეს ე. წ. „გურიის რაზმს“, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მტრის წინააღმდეგ გამკლავება ჰქონდა დავალებული.

რუსული ჯარების მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დატოვებამ ხელ-ფეხი გაუხსნა ოსმალეთსა და მოკავშირეებს სამოქმედოდ. 1854 წლის მაისში მათ დესანტი გადასხეს სოხუმში, ყულევსა და ანაკლიაში (1500 ჯარისკაცი, 35 ქვემეხი, არტილერია). ოსმალთა ჯარს მეთაურობდა საფარ-ბეი ზანუყო. ის ნატუხაელთა (ადიღეელთა ტომის) წარჩინებულ საგვა-რეულოს წარმომადგენლი იყო და მთიელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. საფარ-ბეის სულთანმა ფაშას ტიტული უბოძა და მთიელების მიმხრობასთან ერთად აფხაზეთის მთავრის გადაბირება დაავალა. სოხუმში ჩასულ საფარ-ბეის მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში აღარ დაუხვდა. იგი 7 მაისს გადავიდა სამეგრელოში, შემდეგ კი, 19 მაისს თბილისში ჩავიდა და შეხვდა კავკასიის კორპუსის მეთაურს, გენერალ რეადს, რომელთან ერთადაც სამოქმედო გეგმა დასახა. 26 მაისს მიხეილ შარვაშიძე თბილისიდან წავიდა. მისი შვილები სამეგრელოში იყვნენ, ხოლო მეუღლე - აბჟუაში. 1854 წლის მაისში მიხეილი მთელი ოჯახით სამეგრელოში გადავიდა თავის სიმამრთან - გიორგი დადიანთან. ამის შესახებ აცნობა სამხედრო მინისტრს ვ. დოლგორუკოვს. თავის სამფლობელოსთან სიახლოვე მას საშუალებას აძლევდა გავლენა მოეხდინა როგორც აფხაზეთის მოსახლეობაზე, ისე მეზობელ

მთიანეთზე (ჩხეტია, 1963: 142). იგი ხან სოფ. კურზუში, ხან კი სოფ. ჭკადუაშში იმყოფებოდა.

მიხეილს იმედი ჰქონდა, რომ „გურიის რაზმის“ ხელმძღვანელად დანიშნავდნენ, თუმცა რუსეთის ხელისუფლება ბოლომდე არ ენდობოდა და ეს თანამდებობაც 1854 წლის ივლისში გენერალ ივანე მუხრანბატონს გადასცეს. მიხეილ შარვაშიძე, ფაქტიურად ჩამოშორებული აღმოჩნდა პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობისგან, რაც ჩანს მისი ზემომოყვანილი წერილიდანაც. იგი, როგორც აფხაზეთის მთავარი არ იყო ჩართული თავის სამთავროში მიმდინარე პროცესებში. უბრალო მაყურებელად წარმოგვიდგება, რომელიც იმ დონეზეა ინფორმირებული აფხაზეთში მომხდარი მოვლენებით, რამდენადაც სხვა - „ამბავი გეკითხათ. **შენც გეცოდინება რაც ამბავი ჩვენკენ არის, მაგრამ<ე> მეც ეს ამბავი მომივიდა**“. შემდეგ განაგრძობს: „ფაშები მისულ არიან სოხუმსა და ოჩამჩირეს და უთქვამს - ორივეს ადგილს ჯარების მოყვანა. ვგონებ ჩერქეზის ჯარებიც აწვევენ. ნაიბი ჩერქეზებმან არ მიიღეს და ცდილობს სოხუმს დადგეს“.

მიხეილ შარვაშიძე ძალიან ზოგადად საუბრობს ფაშებისა და ნაიბის შესახებ, არ ახსენებს მათ სახელებს, ვინაიდან, სავარუდოდ წერილის ავტორისათვის ისედაც ცნობილი იყო მათი ვინაობა. იგი არც ფაშების რაოდენობას აკონკრეტებს. ერთ-ერთი მათგანი ზემოხსენებული საფარ-ბეი უნდა იყოს, რომელმაც სოხუმი დაიკავა და მოცემულ პერიოდში ხელმძღვანელობდა ოსმალთა საომარ ოპერაციებს. რაც შეეხება ნაიბს, მასში მუჰამედ-ემინი იგულისხმება. იგი იყო შამილის ნაიბი და წარმომადგენელი დასავლეთ კავკასიის მთიელებში. ნაიბი შამილის მმართველობის პერიოდში ერქვა სამხედრო-ადმინისტრაციული ფუნქციის მოხელეს. მუჰამედ ემინი ცდილობდა ადიღეს ტომების გაერთიანებას და ჩერქეზულ ნიადაგზე ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა შარიათზე. მან მთელი რიგი რეფორმები გაატარა. მტკიცე დასაყრდენის შექმნის მიზნით დაქორწინდა ბოლოტოკოვების გავლენიანი გვარის წარმომადგენელზე. თუმცა ვერ მოახერხა ნატუხაელებსა და შავიზღვისპირეთში მცხოვრებ შაფსუღებზე თავისი ძალაუფლების გავრცელება (Кавказский Узел, 2014). ყირიმის ომის დროს მუჰამედ ემინის გავლენის გამოყენებას ცდილობდნენ ოსმალები, რათა კავკასიის მთიელებში ანტირუსული განწყობა გაეზარდათ. ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა რამდენჯერმე გამართეს მოლაპარაკება მუჰამედ-ემინთან ერთობლივი მოქმედების მიზნით (ჯანელიძე, 2023: 70-80). თავის მხრივ, მუჰამედ-ემინიც ცდილობდა ოსმალების გამოყენებას რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა

ოსმალეთის ფადიშაჰზე მეტად იმამ შამილს ემორჩილებოდა, რაც ოსმალებში უკმაყოფილებას იწვევდა.[9] რუსეთის იმპერია კი ცდილობდა მიხეილ შარვაშიძის ავტორიტეტის გამოყენებას და მისი საშუალებით კავკასიის მთიელებზე გავლენის მოხდენას. მიხეილი შეხვდა უბიხების მამასახლისებს და უსაყვედურა უცხო პირისადმი (იგულისხმება მუჰამედ ემინი) უსიტყვო მორჩილება. ამაყი მთიელებისთვის ეს შეურაცხყოფა იყო. უბიხებმა აუხსნეს, რომ ყველაფერი გამოწვეული იყო რუსეთისადმი წინააღმდეგობის გაწევის სურვილით. მაგრამ, ვინაიდან რუსეთი განიდევნა მათი ქვეყნიდან და ოსმალეთთანაც აღდგა ურთიერთობა, უკვე აღარ სჭირდებოდათ გარეშე პირი უფროსად. მათ უარი განუცხადეს მუჰამედ-ემინს მორჩილებაზე (ხორავა, 2011: 200). მუჰამედ-ემინი და საფარ-ბეი იძულებულნი გამხდარან სტამბულში წასულიყვნენ, სულთნისგან აეღოთ თავიანთი უფლებამოსილების დამამტკიცებელი ფირმანი და მთიელებისთვის წარედგინათ (ხორავა, 2011: 200). ამასთან, მუჰამედ-ემინი და საფარ-ბეი ემეტოქებოდნენ ერთმანეთს.[10] 1854 წლის 7 სექტემბრის ცნობით, საფარ-ბეიმ თურქებთან თავის გამოჩენის მიზნით გადაწყვიტა სამურზაყანოს დაპყრობა და მუჰამედ-ემინს შესთავაზა მთიელთა ჯარით სოხუმში ჩასულიყო. ცხადია, მუჰამედ-ემინი არ იყო დაინტერესებული თავისი კონკურენტის გაძლიერებისთვის ხელი შეეწყო და ლაშქრობაზე უარი განაცხადა. იგი სოხუმ-კალეში ჩავიდა და იქიდან სტამბულს გაემგზავრა. მთიელებს კი პირობა დააღებინა, რომ მის ჩამოსვლამდე საფარ-ბეის სალაშქროდ არ გაჰყვებოდნენ. საფარ-ბეის მცდელობის მიუხედავად, უბიხებმა მას მხარი არ დაუჭირეს (Цагареишвили, 1953: 413-414; წურწუ-

---

[9] მუჰამედ-ემინის შესახებ ინფორმაციის თურქული ენიდან თარგმნისთვის მადლობას ვუხდი თურქოლოგ თამარ პაპუაშვილს. დეტალურად იხილეთ აქ https://tr.wikipedia. org/wiki/Naib_Muhammed_Emin?fbclid=IwAR07GME5DI5pMZq6niMR207EMXYJG4uJHa7Admg6ANoOecI6R_53cYXLmV0

[10] ჩერქეზეთის ორი ლიდერის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ 1855 წელს მათ შორის ბრძოლა გაიმართა. 1857 წელს ემინი სტამბოლში დაბრუნდა, სადაც დააპატიმრეს და დამასკოში გადაასახლეს. ამავე წელს ემინი დამასკოდან გაიქცა და ჩერქეზეთში დაბრუნდა. იგი შელახული ავტორიტეტის აღდგენასაც ეცადა, თუმცა ოპოზიციური ძალების ლიდერებმა მისი ხელმძღვანელობიდან ჩამოშორება წარმატებით მოახერხეს. მუჰამედ ემინი შიდა ომების გაჩაღებისათვის მოღალატედ აღიქმებოდა, რის გამოც, ჩერქეზების თურქეთში გადასახლების შემდეგ, ისინი მას - სოფლებში, კარდაკარ, მოსაკლავად დაეძებდნენ. ემინმა დამალვა მოასწრო და 1901 წელს ბურსაში, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა https://tr.wikipedia.org/wiki/-Naib_Muhammed_Emin?fbclid=IwAR07GME5DI5pMZq6niMR207EMXYJG4uJHa7A-dmg6ANoOecI6R_53cYXLmV0).

მია, 2009: 102; ხორავა, 2011: 201). როგორც ჩანს, სწორედ ეს ვითარებაა ასახული მიხეილ შარვაშიძის წერილში, როდესაც აღნიშნავს, რომ ფაშები ჩერქეზების ჯარებს იწვევენ სალაშქროდო. ამასთან, წერილში უკვე ჩანს მუჰამედ-ემინსა და მთიელებს შორის არსებული დაპირისპირება. მიხეილ შარვაშიძე პირდაპირ აღნიშნავს, რომ ნაიბი ჩერქეზებმა არ მიიღეს, რის გამოც სოხუმში გაჩერებას ცდილობდა. 11 დეკემბერს, სამხედრო მინისტრს დოლგორუკოვისადმი გაგზავნილ წერილში მიხეილ შარვაშიძე აღნიშნავდა, რომ მოკავშირეებს უკვე აღარ უნდა ჰქონდეთ მოჰამედ-ემინის იმედი, რადგან მთიელი ტომები მას უკვე აღარ ენდობიან (ჩხეტია, 1963: 142).

წერილის დაწერის დროს, 1854 წლის 5 ოქტომბერს, მიხეილ შარვაშიძეს პრობლემები ჰქონდა შექმნილი სამეგრელოს სამთავროში. ზოგადად, აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის დაპირისპირება იყო სამურზაყანოს საკითხის გამო.[11] ამასთან, მიხეილის სიმამრი - გიორგი დადიანი სამეგრელოს ფაქტიური მმართველის - ეკატერინეს ოპოზიციას წარ-მოადგენდა. მიხეილის გარშემო შეიკრიბა ეკატერინეს მოწინააღმდეგეთა მთელი დასი, რაც შემაშფოთებელი იყო მთავრისთვის. ეკატერინე დადიანი 8 ნოემბერს ოფიციალურად მიმართავდა კავკასიის კორპუსის მეთაურ გენერალ რეადს, რომ მიხეილ შარვაშიძის მის სამთავროში ყოფნა მიზანშეუწონლად მიაჩნდა. იგი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის მთავარი სამეგრელოს სამთავრო სახლის მტერია. ამასთან, დროდადრო მასთან ენგურსგაღმიდან მოდიან და კვლავ უკან ბრუნდებიან საჭვო პირებიო. ეკატერინემ რუსეთის ხელისუფლებას თხოვით მიმართა, რომ მიხეილს დაეტოვებინა სამეგრელო, რადგან არღვევდა ამ კუთხის სიმშვიდესა და თავდაცვისუნარიანობას (ჩხეტია, 1963: 140-141).

იმავე წლის 11 დეკემბერს მიხეილ შარვაშიძე იძულებული გამხდარა, აეხსნა სამხედრო მინისტრ დოლგორუკოვისადმი მისი სამეგრელოში ყოფნის მიზეზები და აფხაზეთში თავისი მიზნების შესახებ მიეწერა. იგი განმარტავდა, რომ აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ დარჩა საკუთარ სიმამრთან სამეგრელოში, რათა თავის სამთავროს მეზობლად ყოფილიყო და გავლენა მოეხდინა მიმდინარე მოვლენებზე.

მიხეილ შარვაშიძესა და ეკატერინე დადიანს შორის გამწვავებული ურთიერთობის გამო, სამეგრელოში ჩავიდა მეფისნაცვალი ნ. მურავიოვი. იგი შეხვდა სოფ. ქვაშეხორში შეკრებილ მეგრელ წარჩინებულებს, რომლებიც

[11] ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მიხეილ შარვაშიძე არ დანიშნეს „გურიის რაზმის“ მეთაურად, სწორედ, სამეგრელოს მთავრისადმი დაპირისპირება იყო, ვინაიდან ჯარი სამეგრელოში იდგა, ხოლო მის ხელმძღვანელად მთავრისადმი ოპოზიციურად განწყობილ პირს ვერ დააყენებდნენ.

მხარს უჭერდნენ ეკატერინე ჭავჭავაძეს და უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ გიორგი დადიანის მიმართ. მურავიოვი შემდეგ ზუგდიდში შეხვდა მიხეილ შარვაშიძეს. მათი საუბრის შინაარსი უცნობია, მაგრამ საუბრის შემდეგ მიხეილი ძალზედ აღელვებული ყოფილა, ხოლო სამი კვირის შემდეგ 1855 წლის მაისის დამდეგს აფხაზეთში გაემგზავრა (თაკალანძე, 2000: 110-111), რადგან როგორც თავად წერდა „მე ყოვლად დაიმედებული თავს თვისსა ზედა, რომელი არა ვარ გამოუსადეგ და უქმი, ვარჩიე უსაქმოდ ყოფნასა შემოვლა ისევ ჩემივე სამთავროსი და დაცვა მათი მყუდროებასა შინა“ (ჩხეტია, 1963: 238).

აფხაზეთში გადასვლის შემდეგ მიხეილი შეხვდა აფხაზეთში მყოფ ანატოლიის ჯარების მთავარსარდალს მუშირ (მარშალი) მუსტაფა-ფაშას.[12] მიხეილს სურდა ნეიტრალურ ფიგურად დარჩენა (ჩხეტია, 1963: 168; Акты, 1888: 45). ზ. პაპასქირის ვარაუდით, მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთში გადასვლა დაკავშირებული იყო ომში ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების გამარჯვებისკენ სასწორის გადახრით (პაპასქირი, 2003: 163). ფაქტია, მიხეილმა ოსმალების მიმართ საკმაოდ ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკა გაატარა.

მეფისნაცვალი ნიკოლოზ მურავიოვი მიხეილ შარვაშიძეს ღალატში დებდა ბრალს. მის დაკავებას და აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას ითხოვდა. რუსეთის იმპერატორი და სამხედრო მინისტრი თავს იკავებდნენ, რადგან ცდილობდნენ მიხეილი გამოეყენებინათ წებელდასა და აფხაზეთში რუსეთის ხელახალი დამკვიდრებისათვის (ჩხეტია, 1963: 251). ასევე სჭირდებოდათ აფხაზეთის სამთავრო ჩრდილოეთ კავკასიაში დასამკვიდრებლად. ასეც მოხდა. რუსეთის იმპერიამ მიხეილ შარვაშიძე ბოლომდე გამოიყენა თავისი ზრახვების აღსასრულებლად. ისე რომ, 1864 წელს, მან თვითონ წაუკითხა ხალხს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების მანიფესტი. ავადმყოფობის მიუხედავად იგი ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც 1866 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მოქვის ტაძარში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახალაძე (2022): ლ. ახალაძე, აფხაზეთის სამთავრო სახლის წერილობითი მემკვიდრეობა XIX საუკუნეში (საბუთები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ეპიტაფიები), ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული, XIV, ქუთაისი;

[12] სამეგრელოში მყოფ მიხეილს მუსტაფა ფაშამ რამდენჯერმე შესთავაზა აფხაზეთში ჩასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ურთიერთობის გაწყვეტით დაემუქრა (Акты 1888: 50; ხორავა 2011: 204).

თაკალანძე (2000): ნ. თაკალანძე, მიხეილ შარვაშიძე, ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი;

პაპასქირი (2003): ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, თბილისი;

ჩხეტია (1963): შ. ჩხეტია, აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, 15-16, თბილისი;

წურწუმია (2009): ზ. წურწუმია, აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში (XV ს. II ნახ. – XX ს. I მეოთხედი), საკვალიფიკაციო ნაშრომის ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი;

ხორავა (2011): ბ. ხორავა, აფხაზთა სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე, თბილისი;

ჯანელიძე (2023): ო. ჯანელიძე, ყირიმის ომი და კავკასია, წგ. კავკასიის ისტორია, II, თბილისი;

Акты (1885): Акты, собранные Кавказскою археографической комиссии, X, Тифлис;

Акты (1888): Акты, собранные Кавказскою археографической комиссии, XI, Тифлис;

Кавказский Узел, 2014: Мухаммед-Амин, Источник: https://www.kavkaz-uzel.-media/articles/219069 Кавказский Узел, 20 мая 2014

Цагареишвили (1953): Шамиль-ставленник султанской Турции и англійских колонизаторов. Сборник документальных материялов, под ред. Ш. В. Цагареишвили, Тблиси;

ინტერნეტრესურსი:

https://tr.wikipedia.org/wiki/Naib_Muhammed_Emin?fbclid=IwAR07GME5DI5pMZq6niMR207EMXYJG4uJHa7Admg6ANoOecI6R_53cYXLmV0